491.71
ბ-785

თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებებით

ნონა გურამის ასული ბობოხიძე

# ველიმირ ხლებნიკოვის სიტყვათშემოქმედება

10.02.03 – სლავური ენები

ავტორეფერატი
დისერტაციისა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1997

შემოსულია № 38
"29" 04 1997 წ.

ნაშრომი შესრულებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სლავური ენების კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
გ.ღ.ხუხუნი

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ნ.ა.ბასილაია

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
მ.ა.მახარობლიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი
მ.ჯ.ალექსიძე

Библиотека
Тбилисского гос. педа-
гогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური
უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება "23" მაისს ---------------- 1997 წ.
" 11 " საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P 10.01 C N 5 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: 380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი, 1.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა "22" აპრილს ----1997 წ.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ.კიკაჩეიშვილი

## ნაშრომის საერთო დახასიათება

მოცემული დისერტაცია ეძღვნება მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსი პოეტის ველიმირ ხლებნიკოვის ენის შესწავლას.

ნაშრომის აქტუალურობა. ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება ეთმობა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისს – პერიოდს,რომელიც სხვადასხვაგვარ მიმართულებათა სიმრავლით ხასიათდება: რეალიზმი,სიმბოლიზმი,ფუტურიზმი და სხვ. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუტურისტული მიმართულებაა. რუსეთში ამ მიმართულების ფუძემდებლად ითვლება პოეტი,მათემატიკოსი,ორნითოლოგი და ლინგვისტი-ექსპერიმენტატორი ველიმირ ხლებნიკოვი.

დადგა დრო მრავალ უსაფუძვლოდ მივიწყებულ ხელოვანთა "დაბრუნებისა". ვ.ხლებნიკოვი დიდხანს წარმოადგენდა "მიჩუმებულ ფიგურას", რაც მნიშვნელოვნად აღარიბებდა რუსულ კულტურას.უკანასკნელ ათწლეულის მანძილზე გაჩნდა ვ.ხლებნიკოვის შემოქმედების შემსწავლელი მრავალი სერიოზული ნაშრომი, მაგრამ ისინი ან ლიტერატურათმცოდნეობას განეკუთვნებიან, ან შემოიფარგლებიან პოეტის ოკაზიონალიზმების გარჩევით. შემთხვევითი არ არის,რომ მოცემული ავტორის შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი აღნიშნავს: "... ახლა, ისევე როგორც სამოცი წლის წინ,როდესაც რ.იაკობსონი იწყებდა ამ სამუშაოს თავისი ნაშრომით"მიახლოვება ხლებნიკოვთან",ჩვენ არსებითად ჯერ კიდევ პოეტის მისადგომებთან,ახლოსა და უახლოესთან, ვართ".[I]

ნაშრომის თეორიული სიახლე მდგომარეობს თვით სიტყვათშემოქმედების პრობლემების შესწავლისადმი მიდგომაში,რომელიც გამომდინარეობს პოეტის მიზნიდან – აღადგინოს პრაენა. ნაშრომის აქტუალურობა ვ.ხლებნიკოვის ენის ლინგვისტური თვალსაზრისით შესწავლაში მდგომარეობს.